ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6270483

ნომერი: AR1939010

თარიღი : 09.12.2022

გაცემის თარიღი : 29.12.2022

გაცნობის თარიღი : 29.12.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინიძე , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინიძე , N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე გოგოლაძე პ/ნ 35001020444
- რუსთავი ხალხთა მეგობრობის გამზ. კორ. 43 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 09 დეკემბერს №AR1939010 განცხადებით მომართა ივანე გოგოლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 20 ივნისის №5991726 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით №01.17.01.027.019 და №01.17.01.027.004 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სასტუმროს მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4741629 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო კოდი: №01.17.01.027.032, ფართობი 892 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
სამსახურის 2020 წლის 08 ივლისის №5015489 ბრძანებით №01.17.01.027.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. აღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.
სამსახურის 2022 წლის 20 ივნისის №5991726 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად სასტუმროს ნაცვლად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, აღარ არსებობს სამსახურის 2022 წლის 20 ივნისის №5991726 ბრძანების შესაბამისად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, განმარტავს, რომ სურს ძალაში დარჩეს სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომელიც დამტკიცებულია სასტუმროს მშენებლობის მიზნით.
როგორც ზემოთ აღინიშნა სამსახურის 2022 წლის 20 ივნისის №5991726 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და სასტუმროს ნაცვლად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ამ ეტაპზე განმცხადებელს სურს კვლავ სასტუმროს მშენებლობა, საჭიროა, არა სამსახურის 2022 წლის 20 ივნისის №5991726 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება, არამედ, სამსახურის 2019 წლის 18 ოქტომბრის №4716741 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში კანონმდებლობით დადგენილი წესით ცვლილების შეტანა და საპროექტო ობიექტად კვლავ სასტუმროს დაფიქსირება (რაზეც, სამსახური კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე იმსჯელებს).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 20 ივნისის №5991726 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.